



სტაჟირება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში

UGT წარმოადგენს წამყვან კომპანიას საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიურ პროდუქტებზე, სერვისებსა და კონსალტინგზე დამყარებული გადაწყვეტების შემუშავება, დანერგვა და ფუნქციონირების მხარდაჭერა. კომპანია ასევე ცნობილია უმაღლესი ხარისხის კომპიუტერული ტექნიკისა და მაღალი დონის აპარატურის მიწოდებით.

UGT აცხადებს 3 თვიან ანაზღაურებად სტაჟირებას ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში (ადმინისტრირება, შერჩევა/დაქირავება) დასაქმების პერსპექტივით

თუ ხართ მოტივირებული, სხარტი აზროვნების ახალგაზრდა, გაინტერესებთ ადამიანური რესურსების მართვა და გსურთ მიიღოთ პროფესიონალ გუნდში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, გამოაგზავნეთ თქვენი რეზიუმე 12 ივლისის ჩათვლით ელ. ფოსტაზე trainee@ugt.ge სათაურის ველში მიუთითეთ - „სტაჟიორი - HR“

აუცილებელი მოთხოვნები:

- ✚ ბიზნესის მენეჯმენტის ან ფსიქოლოგიის მიმართულებით დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ან კურსდამთავრებული;
- ✚ სტაჟირება, პრაქტიკა ან სამუშაო გამოცდილება ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით;
- ✚ ქართულ ენაზე გამართულად წერა;
- ✚ ინგლისური და რუსული ენების კარგად ცოდნა;
- ✚ საოფისე პროგრამების მაღალ დონეზე ცოდნა და გამოცდილება;

საჭირო უნარ-ჩვევები:

- ✚ დეტალებზე ორიენტირებულობა;



- ✚ ორგანიზებულობა;
- ✚ ლოგიკური აზროვნება;
- ✚ დროის მართვის უნარი;
- ✚ გუნდში მუშაობის უნარი;
- ✚ კრეატიული აზროვნება.

შერჩევის ეტაპები ითვალისწინებს როგორც ტესტირებას ასევე გასაუბრებას.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური გისურვებთ წარმატებას!